ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2023 წლის 27 ივლისი

ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ქვეპუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-6 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6 მუხლის და 17^6 მუხლის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის მოსაკრებელი.

მუხლი 2

1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის მოსაკრებელი განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 2 ლარის ოდენობით;

ბ) საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის 2024 წლის 1 იანვრამდე 7 ლარით, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე 9 ლარით, ხოლო 2025 წლის 1 იანვრიდან 10 ლარით;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მშენებლობის გარდა, ყველა სხვა მშენებლობისათვის 2024 წლის 1 იანვრამდე 6 ლარით, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე 8 ლარით, ხოლო 2025 წლის 1 იანვრიდან 9 ლარით.

2. ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობისას, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა II კლასის ობიექტებისთვის განისაზღვროს 50 ლარით, III კლასის ობიექტებისთვის – 200 ლარით, ხოლო IV კლასის ობიექტებისთვის – 400 ლარით.

3. ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისთვის 1 ლარის ოდენობით.

მუხლი 3

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობა.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე — ბაჩანა მარკოიშვილი